[stamp] ... საჯარო ბიბლიოთეკა ... თბილისი
9018

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
6 დეკემბერი
1941 წ.
№ 289 (6294)
ფასი 15 კაპ.

ყოველდღიურად გავუწიოთ ხელმძღვანელობა პოლიტიკურ აგიტაციას სოფლად

შეუნელებელი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს კოლმეურნეები, ისევე როგორც მთელი ჩვენი ხალხი, მედგარი და სისხლისმღვრელი ბრძოლების მიმდინარეობას სამამულო ომის ფრონტებზე, იმას, რაც საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრებს იქით ხდება. ჩვენს თვალუწვდენ ქვეყანაში არ მოიპოვება არც ერთი სოფელი, დაბა, სადაც საბჭოთა გლეხები გულგრილად ეკიდებოდნენ იმ დიად ბრძოლას, რომელიც გაჩაღდა სსრ კავშირის ხალხებსა და ჰიტლერის გერმანიას შორის. ომის დღეებში კიდევ უფრო გაძლიერდა კოლმეურნე გლეხობის პოლიტიკური აქტივობა.

დააკმაყოფილონ კოლმეურნეთა უდიდესი ინტერესი მიმდინარე მომენტისადმი, საბჭოთა ქვეყანაში და მის საზღვრებს იქით არსებული ფრონტების ამბებისადმი—აი პარტიული ორგანიზაციებისა და ბოლშევიკური აგიტატორების საბრძოლო ამოცანა. საქ. კ. პ. (ბ) წესდება ყოველი კომუნისტისაგან მოითხოვს ყოველდღიურად განამტკიცოს კავშირი მასებთან, დროულად გამოეხმაუროს მშრომელთა მოთხოვნილებებს და საჭიროებებს, განუმარტოს უპარტიო მასებს პარტიის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებათა აზრი. ომის მრისხანე დღეებში კომუნისტებმა წინანდელზე კიდევ უფრო ენერგიულად უნდა შეასრულონ ეს თავიანთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობა. **არც ერთ რაიონში, მეტად შორეულ რაიონებშიაც კი, არ უნდა მოიპოვებოდეს არც ერთი კუთხე, სა**...

ბევრი სასოფლო რაიკომისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მთავარი უბედურება ის არის, რომ ისინი სუსტად უწევენ ხელმძღვანელობას სოფლის აგიტატორებს. არ წარმართავენ მათს საქმიანობას, ცუდად ეხმარებიან მათ. შინაარსიანი საინსტრუქციო მოხსენება, დროული ინფორმაცია, კონსულტაცია მიმდინარე მომენტის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, სააგიტაციო მუშაობის მოცდილების ცოცხალი ურთიერთგაზიარება — ყოველივე ეს ჯერ... ბით საკმაოდ იშვიათი მოვლენაა ... რაიონში. რაიონებში აგიტატორ... მუდმივი და კვალიფიციური მუ... სათვის საჭირო ძალები, თუ სუ... იქნება, ყოველთვის გამოინახება ... კომთა მდივნებს, რაიონის მუ... რაიონის აქტივს, რაც უნდა და... თული იყვნენ ისინი სხვა საქმ... შეუძლიათ და ვალდებულნიც ... გამონახონ დრო მასებში თავის... მოსვლებისათვის და იმისათვის, ... ხელმძღვანელობა გაუწიონ ს... აგიტატორებს. **რაიონის მუშაკე... და იყვნენ პირველი პროპაგანდ... ბი დაბებსა და სოფლებში,** ... აგიტატორთა პირველი აღმზრ...

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ... ზრუნვას, რომ კოლმეურნეობის საუბრენი, მომხსენებელნი, ... ხველნი მოვამარაგოთ გაზეთებით, ... ნალებით, ლიტერატურით, საცნ... მასალით. პრესაში შემაძრწუნ... დოკუმენტები ქვეყნდება ფ... არამზადების მხეცობის შესახებ ... მიერ დროებით დაკავებულ ს...

...ნიზაციები ვალდებული არიან სისტემატურად გზავნონ სოფლებში თავიანთი საუკეთესო პროპაგანდისტები და აგიტატორები. ისინი უფრო გამოცდილი არიან ბოლშევიკური აგიტაციის ხელოვნებაში და შეუძლიათ ბევრი რამ ასწავლონ კოლმეურნეობის აგიტატორებს.

...

სოფლო რაიონებში ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი ხელმძღვანელები, რომელნიც აგიტატორების ნაკლებობას უჩივიან, ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ეს ხელმძღვანელები მოწყვეტილი არიან უპარტიო აქტივს, დაკავშირებული არ არიან მასთან.

...ბით ვრცელ რეზოლუციებს „აგიტმუშაობის გამოცოცხლების შესახებ", რომლებიც ხშირად მხოლოდ ქაღალდზე რჩება. სოფლის პარტორგანიზაციებს უფლება აქვთ ქალაქელი კომუნისტების ერთგვარი დახმარების იმედი იქონიონ. ქალაქის პარტიული ორგა...

...კური აგიტაცია ... დონემდე ავამაღლოთ, მთელი აგიტაცია დავუმორჩილოთ საბჭოთა გლეხობის, სსრ კავშირის ყველა ხალხის უბოროტესი მტრის—გერმანიის ფაშიზმის განადგურების საქმეს.

„პრავდის" მოწინავე, 4/XII.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის V პლენუმი

4 დეკემბერს საღამოს ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლეში გაიხსნა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-5 პლენუმი.

დღის-წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1) 1941 წლის 6 ნოემბერს ქ. მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საზეიმო სხდომაზე ამხანაგ სტალინის მოხსენებაში მოცემულ მითითებათა შესრულებისათვის საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების ღონისძიებათა შესახებ; 2) საორგანიზაციო საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ცქიტიშვილი.

მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: გოგლიძე (საქ. ალკკ თბილისის ლენინის რაიკომის მდივანი), დოლიძე (ლანჩხუთი), ქობულოვი (საქ. ალკკ სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი), დოლონაძე (ტყიბული), რთველიაშვილი (გორი), ფეხმოჭრილაშვილი (თელავი), ძაძამია (ცხაკაია) და კოჩოვი (წალკა).

ამით დასრულდა 4 დეკემბრის საღამოს სხდომა.

პლენუმის მეორე სხდომაზე, რომელიც 5 დეკემბერს დილით შედგა, გრძელდებოდა კამათი. სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები: ტუსკაძე (საქ. ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი), ალანია (საქ. ალკკ თბილისის სტალინის რაიკომის მდივანი), გრიგოლია (ზუგდიდი), შენგელია (საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი), კობახიძე (ყვარელი), კრავეიშვილი (სამტრედია), რუხაძე (ქუთაისი) და მჭედლიშვილი (საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი).

ამხ. გ. ცქიტიშვილის მოხსენების ირგვლივ პლენუმმა მიიღო რეზოლუცია. პლენუმმა სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო ბიუროს წევრობის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხანაგები: დანილევიჩი, წულაია, აიზენშტატი და მოწერელია.

ბიუროს შემადგენლობაში ერთხმად არჩეულ იქნენ ამხ. გოგლიძე (საქ. ალკკ თბილისის ლენინის რაიკომის მდივანი) და ფარულავა (საქ. ალკკ თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი). პლენუმმა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. დანილევიჩი. საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის გლეხი ახალგაზრდობის განყოფილების გამგის მოვალეობისაგან გათავისუფლებულ იქნა აგრეთვე ამხ. წულაია. გლეხი ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ პლენუმმა დაამტკიცა ამხ. რომელაშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ბუჯიაშვილი და საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ამხ. გ. კიკნაძე.

ჩვენი ჯარების კონტრდარტყმა ნარო-ფომინსკის რაიონში

დასავლეთის ფრონტი, 4 დეკემბერი (ტელეფონით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან). ნარო-ფომინსკის რაიონში ჩვენი ჯარის ნაწილებმა სერიოზული დამარცხება ...

...დასტოვა ტანკების მცირე რაოდენობა, ხოლო დანარჩენი ტანკები გადაიყვანა თავის ძირითად დაჯგუფებაში, რომელიც ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მოქმედებდა.

4 დეკემბერს განთიადისას ბრძოლამ კიდევ უფრო გაამწვავებული ხასიათი მიიღო. ჩვენი ჯარების შეტევით მტრის წინააღმდეგობა გატეხილ იქნა და მან უკუქცევა იწყო.

...

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

5 დეკემბრის დილის ცნობა

4 დეკემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარის ნაწილები ეწეოდნენ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ ყველა ფრონტზე.

* * *

ჩვენმა მეომრებმა მტრის წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლაში დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ერთი დღის განმავლობაში მოსპეს გერმანელთა 12 ტანკი, 10 ქვემეხი, 5 ნაღმსატყორცნი და გაჟლიტეს მტრის 1.300 ჯარისკაცი და ოფიცერი. ფრონტის მეორე უბანზე ... გერმანელთა 15 ტანკი.

* * *

სამხრეთის ფრონტის ... რომელნიც სდევნიან გ... დახეულ ჯარებს, ერთი ... ლობაში გაათავისუფლე... სახლებული პუნქტი. ამ... ვის მეომრებმა სამი დღ... ში გერმანელებს წაართ... 53 ქვემეხი, 58 ტყვიამ... მანქანა და დიდძალი ს...

* * *

...ძლება მალე დაბრუნდნენ უკან. ჩვენში არის მრავალი შემთხვევა სხეულის თავისივე ხელით დაზიანებისა, რათა ჰოსპიტალში მოხვდნენ და ამრიგად თავი დააღწიონ ომს".

* * *

საბერძნეთში რკინიგზის ხაზზე ელევსისა და ვერიას სადგურებს შორის ბერძენმა პარტიზანებმა მოაწყეს გერმანელთა სამხედრო ეშელონის მარცხი. მოკლული და დაჭრილია 120-ზე მეტი ჯარისკაცი.

...

5 დეკემბრის საღამოს ცნობა

...

...ცხენოსანი.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთერთ უბანზე მოწინააღმდეგემ უდიდესი დანაკლისის ფასად შეაღწია ჩვენი ნაწილები და სოლივით შემოიჭრა ჩვენს თავდაცვაში. ამ რაიონში გერმანელებმა თავი მოუყარეს ქვეითი ჯარის დაახლოებით ორ დივიზიას და ერთ სატანკო დივიზიას. ჩვენმა ნაწილებმა, რომელნიც კონტრშეტევაზე გადავიდნენ, მედგარი ბრძოლების შემდეგ გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა. გერმანელთა ნაწილებმა დაიწყეს უკან დახევა, ხოლო შემდეგ უწესრიგოდ უკუიქცნენ. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები და სავსებით აღადგინეს თავიანთი პოზიციები. გერმანელებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს რამდენიმე ათასი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამები. ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 53 დაზიანებული ტანკი, რამდენიმე ჯავშნიანი მანქანა, 65 ქვემეხი, 50 ტყვიამფრქვევი, 35 ნაღმსატყორცნი, 500-ზე მეტი შაშხანა, 49 ავტომანქანა, 102 ...

...ნების საბრძოლო მოქმედების წყალობით ფინელთა ნაწილებს მრავალი დღის განმავლობაში არ მიუღიათ საჭურველი, ვაზნები და სურსათი.

* * *

მატულობს შრომითი აღფრთოვანება სტალინგრადის ოლქის ფაბრიკა-ქარხნებში. ქარხანა „ბარიკადებში" მრავალი მუშა ორასი პროცენტით ასრულებს დავალებას. მუშა ამხ. გოლოვანოვა ცვლაში 5-6 ნორმას აკეთებს. ქარხანა „კრასნი ოქტიაბრში" მეფოლადეები განუწყვეტლივ ადიდებენ ნადნობის სწრაფ გამოშვებას. სტახანოველებმა ამხ. დანილენკომ და ალიოშკინმა სწრაფი მეთოდები გამოიყენეს და დიდ ეკონომიას მიაღწიეს სათბობის ხარჯვაში. ამ უკანასკნელ თვეში მათ 104 ტონა მაზუთი დაზოგეს. სტახანოველებმა — იაბლოჩკინმა და დრინკინმა წარმატებით აითვისეს რამდენიმე ახალი სახის თავდაცვითი პროდუქციის გამოშვება. სტახანოველმა ტერეშჩენკომ, რომელიც 3 დაზგაზე მუშაობს, ერთიოთხად გაადიდა შრომის ნაყოფიერება.

წითელი არმიის ნაწილებმა აიღეს მატვეევ კურგანი

სამხრეთის ფრონტი, 5 დეკემბერი, დღის 3 საათი („პრავდის" სპეციალური სამხედრო კორესპონდენტისაგან). 4 დეკემბერს მეთაურ ეგოროვის ნაწილის მებრძოლებმა აიღეს მატვეევ კურგანი. ფაშისტებმა ბრძოლის ველზე დიდძალი მოკლული და დაჭრილი დასტოვეს. ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა.

მ. მერჟანოვი.

5 დეკემბრის „პრავდა".

წითელი არმიის წარმატებები სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი, 4 დეკემბერი. განუწყვეტელი კონტრდარტყმებით სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ყველა უბნებზე ჩვენი ნაწილები განაგრძობენ გერმანელი ოკუპანტების განადგურებას. მიუხედავად დიდი დაძაბულობისა, გერმანელები ...

ამხ. ციგანოვის ნაწილები გუშინ და დღეს განაგრძობდნენ მტრისაგან მდინარის აღმოსავლეთ ნაპირის გაწმენდას. მტერი სასწრაფოდ გადადის თავდაცვაზე, აწარმოებს სასანგრო სამუშაოებს, აგებს მავთულხლართებს. ერთ-ერთი სოფლის რაიონში მოსპობილია 250 გერმანელზე მეტი, ჩვენებმა ხელთ იგდეს 7 ...

...

საბჭოთა კავშირის მთავრობისა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობის დეკლარაცია მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ

მოლაპარაკების შედეგად, რომელიც ამა წლის 3 და 4 დეკემბრის განმავლობაში სწარმოებდა მოსკოვში, ერთი მხრივ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგ ი. ბ. სტალინსა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს და, მეორე მხრივ, პოლონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გენერალ ბ-ნ ვ. ლ. სიკორსკისა და პოლონეთის რესპუბლიკის სსრ კავშირის ელჩ ბ-ნ სტ. კოტს შორის, 4 დეკემბერს ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირის მთავრობისა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობის დეკლარაცია მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ.

დეკლარაციას ხელი მოაწერეს: სსრ კავშირის მთავრობის დავალებით — ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა, ხოლო პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით — ბ-ნმა ვ. ლ. სიკორსკიმ.

დეკლარაციის ხელმოწერას დაესწრნენ სსრ კავშირის მხრივ ამხანაგები: ვ. მ. მოლოტოვი, გ. მ. მალენკოვი და სხვები, ხოლო პოლონეთის რესპუბლიკის მხრივ: პოლონეთის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი სტ. კოტი, გენერალი ანდერსი, გენერალი შიშკო-ბოგუში, პოლკოვნიკი ოკულიცკი და სხვები.

ქვემოთ მოყვანილია დეკლარაციის ტექსტი:

საბჭოთა კავშირის მთავრობისა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობის დეკლარაცია მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ

საბჭოთა კავშირის მთავრობა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობა, ალსავსენი მეგობრული თანხმობისა და საბრძოლო თანამშრომლობის სულისკვეთებით, აცხადებენ:

1. გერმანულ-ჰიტლერული იმპერიალიზმი კაცობრიობის უბოროტესი მტერია — მასთან რაიმე კომპრომისი შეუძლებელია.

ორივე სახელმწიფო დიდ ბრიტანეთთან და სხვა მოკავშირეებთან ერთად ...

...მეზობლური თანამშრომლობა, მეგობრობა და ნაკისრ ვალდებულებათა ორმხრივი მჭიდრო შესრულება.

3. ძლევამოსილი ომისა და ჰიტლერელ დამნაშავეთა შესაფერისად დასჯის შემდეგ მოკავშირე სახელმწიფოთა ამოცანა იქნება მტკიცე და სამართლიანი ზავის უზრუნველყოფა. ეს შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობის ახალი ორგანიზაციით, რომელიც დაფუძნებული იქნება ...

...

...მჯდომარისა და შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლის გენერალ ვ. ლ. სიკორსკის პატივსაცემად კრემლში გამართა სადილი.

სადილს დაესწრნენ: გენერალი ვ. ლ. სიკორსკი, პოლონეთის ელჩი ბ-ნი კოტი, გენერალი ანდერსი, გენერალი შიშკო-ბოგუში და სხვა პირები, რომ... შჩერბაკოვი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, გენერალი ა. მ. ვასილევსკი, ა. ი. შახურინი, ვ. გ. დეკანოზოვი, გენერალი პ. ფ. ჟიგარიოვი, გენერალი ი. ნ. ფედორენკო და სხვ.

სადილმა მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

ი. ბ. სტალინის მისალოცი დეპეშა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ჩერჩილისადმი მისი დაბადების დღის გამო

30 ნოემბერს ბ-ნ ჩერჩილის დაბადების დღის გამო ი. ბ. სტალინმა შემდეგი პირადი მილოცვა გაუგზავნა მას:

„გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს. სულითა და გულით გისურვებთ ძალ-ღონესა და ჯანმრთელობას, რაც ესოდენ საჭიროა კაცობრიობის მტერზე — ჰიტლერიზმზე გამარჯვებისათვის. გისურვებთ ყოველგვარ სიკეთეს".

ბ-ნ ჩერჩილის საპასუხო დეპეშა ი. ბ. სტალინის მისალოც დეპეშაზე

ი. ბ. სტალინის მისალოცი დეპეშის პასუხად ბ-ნმა ჩერჩილმა შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა ამხანაგ სტალინს:

„გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ თქვენი უაღრესად თავაზიანი და მეგობრული მოლოცვისათვის ჩემი დაბადების დღის გამო. ნება მიბოძეთ შემთხვევით ვისარგებლო და მოგახსენოთ, თუ რა აღტაცებით უყურებს მთელი ბრიტანელი ხალხი რუსეთის მამაცი არმიების მიერ ლენინგრადისა და მოსკოვის მტკიცედ დაცვას, და რა რიგად გვახარებს ყველას თქვენი ბრწყინვალე გამარჯვება დონის როსტოვში".

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ვადის გადადების შესახებ

ომიანობის დროის გარემოებათა გამო გადაიდოს ერთი წლით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

აღნიშნული ვადით გაუგრძელდეს რწმუნებულება სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლეს საბჭოს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

1941 წლის 5 დეკემბერი.

ჩვენი ჯარის ნაწილების წარმატებითი კონტრიერიშები

სტალინოგორსკის მიმართულება, 4 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან).

გენერალ-მაიორ ბარანოვის ნაწილი, რომელმაც ფაშისტები უკუაგდო ქალაქ კ-დან, განაგრძობს შეტევას სამხრეთისაკენ და ამოცანად ისახავს მტრის ხოლის ლიკვიდირებას. უკვე 8 დღის განმავლობაში მაიორების ზუბოვისა და კნიაზევის ცხენოსან გვარდიელთა ქვედანაყოფები, წითელი არმიის სხვა ნაწილთა დახმარებით, ზედიზედ იღებენ დასახლებულ პუნქტებს.

დღეს, საღამოს, მაიორ ზუბოვის ცხენოსანი ცხენოსნები შეიჭრნენ ქალაქ კ-ს სამხრეთით 37 კილომეტრზე მდებარე დიდი რაიონული ცენტრის ჩრდილოეთ-დასავლეთ განაპირა უბანში.

მტრის იერიშები მოგერიებულია

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი, 4 დეკემბერი („პრავდის" სპეციალური სამხედრო ...

...ღუპია 80 ფაშისტი, ხელთ ვიგდეთ ტყვეები, 7 ხელის ტყვიამფრქვევი, 2 დღემბერს, ...

...

პოლონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გენერალ ვ. ლ. სიკორსკის გამოსვლა რადიოთი

4 დეკემბერს 18 საათსა და 30 წუთზე პოლონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალმა, გენერალმა ვ. ლ. სიკორსკიმ შემდეგი სიტყვა წარმოთქვა რადიოთი მოსკოვში:

ისმინეთ, ძმებო პოლონელებო!

პოლონელი ხალხის წარმომადგენელთა რადიომიტინგი

27 ნოემბერს სარატოვში შესდგა პოლონელი ხალხის წარმომადგენელთა რადიომიტინგი. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ცნობილმა პოლონელმა მწერალმა ქალმა ვანდა ვასილევსკაიამ.

— პოლონელებო!—ამბობს იგი, — 1939 წლის სექტემბერმა ჩვენი ქვეყანა ნაცარტუტად და ნანგრევებად აქცია. მან პოლონელები მთელს მსოფლიოში გაჰფანტა. ის, ვინც შინ დარჩა, ჰიტლერის ჩექმის ქუსლქვეშ

ინგლისის ოპერაციები ლიბიაში

ლონდონი, 4 დეკემბერი (საქდესი).

მაშველი სამხედრო-საზღვაო ძალების გაგზავნა სინგაპურში

ვაშინგტონი.

ჩერჩილის გამოსვლა მუშახელის მობილიზაციის საკითხზე თემთა პალატაში

ლონდონი, 3 დეკემბერი (საქდესი).

უცხოეთის პრესის გამოხმაურება წითელი არმიის მიერ როსტოვის დაკავების გამო

ნიუ-იორკი, 4 დეკემბერი (საქდესი).

ანკარა, 4 დეკემბერი (საქდესი). საბჭოთა ჯარების მიერ გერმანელ დამპყრობელთაგან როსტოვის განთავისუფლებამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა თურქეთის საზოგადოებრივ წრეებზე. მთელი რიგი თურქი ჟურნალისტები და საზოგადო მოღვაწენი ულოცავენ საბჭოთა ხალხს საბჭოთა ჯარების ბრწყინვალე გამარჯვებას. ბევრი ფიქრობს, რომ ეს გამარჯვება გერმანელ ოკუპანტთა ურდოების განადგურების დასაწყისია.

გაზეთ „ულუსის" სამხედრო მიმომხილველი ფაიკი ეხება საბჭოთა ჯარების მიერ როსტოვის დაკავებას და სწერს: „რუსებმა, დაიბრუნეს რა როსტოვი, ძლიერი და ენერგიული შეტევა განახორციელეს". ფაიკის აზრით, ეს არის გერმანიის პირველი დამარცხება საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის მთელი ხნის განმავლობაში. ფაიკი აღნიშნავს, რომ შეტევა საბჭოთა ჯარებმა განსაკუთრებით მძიმე პირობებში განახორციელეს.

ინგლისელი სპეციალისტი საბჭოთა ავიაციის მოქმედების შესახებ

უელესის განცხადება

ვაშინგტონი, 5 დეკემბერი (საქდესი).

მდგომარეობა ჰაიში

ინგლის-გერმანიის ომი

ლონდონი, 3 დეკემბერი (საქდესი).

უკანასკნელი ცნობები

რუზველტის შეკითხვა იაპონიის მთავრობისადმი

ნიუ-იორკი, 4 დეკემბერი (საქდესი).

ბულგარეთის საომარი სამზადისი

ლონდონი, 4 დეკემბერი (საქდესი).

სტატუტის შესახებ. იგი პლაცდარმი უნდა გახდეს საზღვარს გადაღმა ნახტომის გასაკეთებლად. ბულგარეთის ყველა აეროდრომს, ყველა გზისგამხსნელ პოზიციას, საზენიტო არტილერიის ყველა ბატარიას და საომარი მასალის საწყობებს მხოლოდმხოლოდ გერმანელები უწევენ კონტროლს. მათ მოახდინეს მთელი ბულგარეთის სანაპიროს ოკუპაცია, და ნავსადგურები მათ კონტროლქვეშ იმყოფება. ბურგასს მძლავრ საზღვაო და საავიაციო ბაზად აქცევენ. გერმანელები იქ სიმაგრეებს და ბაზებს აგებენ წყალქვეშა ნავებისათვის. სამხრეთ-აღმოსავლეთი ბულგარეთის გზები, აგრეთვე ხიდები და გვირაბები გერმანელი სპეციალისტების ხელმძღვანელობით მომზადებულია დიდი ტრანსპორტის გასაშვებად. მოკლედ რომ ითქვას, აქ იგივე მეორდება, რაც შარშან საბერძნეთის საზღვრის გასწვრივ ხდებოდა.

შესრულებულია ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა

საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის — სტალინური კონსტიტუციის დღე საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა აღნიშნეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების წლიური გეგმის შესრულებით.

მოკრეფილია და ჩაის ფაბრიკებს ჩაბარდა 58071,9 ტონა ჩაის ფოთოლი, 6330,8 ტონით მეტი, ვიდრე შარშან. წლიური დავალება შესრულებულია 100,1 პროცენტით.

ტრესტ „საქართველოს ჩაის" ჩაის ფაბრიკებმა გეგმის გადამეტებით გამოიმუშავეს ასობით ტონა შავი და მწვანე ბაიხაო ჩაი. (საქდესი).

ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო რუსთაველის თეატრში

საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ დააკმაყოფილა რუსთაველის თეატრის შუამდგომლობა, რომ სსრკ სახალხო არტისტმა ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკომ მონაწილეობა მიიღოს რუსთაველის თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში. ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო მონაწილეობას მიიღებს რუსთაველის თეატრის სარეჟისორო კოლეგიის მუშაობაში და უხელმძღვანელებს ერთერთ დამდგმელ ჯგუფს.

თეატრებში

საოპერო — 7 დეკემბერს — „მეფის საცოლე", **რუსთაველის სახელობის** 7 დეკემბერს — „ოტელო", **მარჯანიშვილის სახელობის** — 6 დეკემბერს — „მკაცრი ქალიშვილები", 7 დეკემბერს — „მარგარიტა გოტიე", 7 დეკემბერს **დღის წარმოდგენა** — „მკაცრი ქალიშვილები", 9 დეკემბერს — „მკაცრი ქალიშვილები", **სანკულტურის ქართული თეატრი** — 6 დეკემბერს — „სტუმარ-მასპინძლობა", 7 დეკემბერს—„გაგრძელება იქნება", **მუსიკალური კომედიის** — 6 დეკემბერს — „აყვავებული ბაღი", 7 დეკემბერს — „ცისფერი კლდეები". **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — 6 დეკემბერს — „გაიდარი" (აბონემენტის გარეშე, დასაწყისი საღ. 8 საათზე), 7 დეკემბერს — „ცისფერი ხალიჩა" (მე-13 აბ., დასაწყ. დღის 10 ს.), 7 დეკემბერს — „გაიდარი" (მე-22 აბ., დასაწყისი დღის 2 ს.), 7 დეკემბერს — „გაიდარი" (მე-19 აბ., დასაწყ. საღ. 7 ს.).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „საბრძოლო კინოკრებული № 5", **ოქტომბერი** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი", **დამკვრელი** — „ბრძოლა გრძელდება", **სპარტაკი** — „ახალი ცხოვრებისაკენ", **ლუქსემბურგის სახ.** — „პაპუკი ტაიგიდან", **26 კომ. სახ.** — „მოკრივეები", **კომინტერნი** — „ფრონტელი მეგობარი ქალები", **მეცნიერება და ცოდნა** — „ესკადრილია № 5".

თბილისის სახცირკი

მხატვრული მრავალფეროვანი პროგრამა. ფრანგული ჭიდაობის მატჩები.

6 დეკემბერს ჭიდაობენ: პლიასულია — ვსევოლოდ ხერცი, სამარინი — ოსმან აბდურახმანოვი, სტრიჟაკი — ტიურინი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

დაკარგულია

აგრო-ბიოსადგურისა და მე-23 საშუალო სკოლის მრავალი რეზერვი. ჩაითვალოს გაუქმებულად. 125 8

ელპიტე იოსების-ასულ ხოშტარიას გარდაცვალებას, პანაშვიდი 6/XII 7 ს. გამოსვენება 7/XII 3 ს. რკინიგზის საავადმყოფოდან, ვაკის სასაფლაოზე. 12559

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26; ვ/შ რედაქტორის მოადგილისა—3-63-03; პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67; ვ/შ მდივნის მოადგილისა—3-06-38; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის—3-81-84; სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო —3-80-83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის 3-80-84; სამხედროსი—3-57-61; წერილების —3-73-24; ვ/შ. მორიგისა და გამომშვების—3-81-65; გამომცემლობის—3-51-81; სტამბის დირექტორის—3-77-70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 41457